



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №07

2012 წლის 17 იანვარი

ქ. ქობულეთი

ქ.ქობულეთში მდებარე უძრავ ქონებაზე ნუმერაციის მინიჭების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქ.ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი №728-ის მიმდებარე უძრავ ქონებას (მიწის ნაკვეთს, საკადასტრო კოდი №20.42.03.252, სარეგისტრაციო ზონა №-20, სარეგისტრაციო სექტორი №42, კვარტალი №03, ნაკვეთი №252) მიენიჭოს ნუმერაცია: ქ.ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა №260 ბ.

2. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურმა (ბ. პაპიძე) აღნიშნული განკარგულება მიიღოს ცნობად.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე. ბაგრატიონი).

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე